ოქმი N 4

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2017 წლის 29 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. გია წულაია
7. გოჩა ჯობავა
8. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 29 დეკემბრის #03/5961 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“დადგენილების პროექტების შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 29 დეკემბრის #03/5961 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა

თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“დადგენილების პროექტების შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-7 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთათვის განსაზღვრული ფუნქციათა ერთობლიობის, პასუხისმგებლობის, მოვალეობათა შესრულების სირთულისა და კომპეტენციების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა სათანადო სამუშაოები და მიღებულია გადაწყვეტილება ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთათვის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობებად გარდაქმნასთან დაკავშირებით.

განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობებისა და შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პოზიციების კორექტირების მიზნით, გამოიცა ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 26 ივნისის №01-425-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 26 ივნისის №01-426-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ფუნქციები მოექცა პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობათა ნუსხაში.

განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები განხილულ იქნეს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია